საგაზეთო ჩანართი

# ინტელექტი

ნაბიჯ-ნაბიჯ რეალური თვითმმართველობისაკენ

№4 / 2010

# „ეს დეკლარაცია მორალური კოდექსი უნდა გახდეს“

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ორი დღით ადრე, 28 მაისს, აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი) ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ წარმომადგენლები საკრებულოს წევრობის მაჟორიტარ კანდიდატებს შეხვდნენ და „კარგი მმართველობის დეკლარაცია“ წარუდგინეს. აღნიშნული დეკლარაცია პროექტის „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ პირველი ეტაპის დასასრულს წარმოადგენდა.

„კარგი მმართველობის დეკლარაცია“ შემუშავდა პროექტის პირველი ეტაპის დასასრულს. ეს ეტაპი მოიცავდა ფართომასშტაბიანი საგანმანათლებლო კამპანიის ჩატარებას ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის 63 თემში მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლებისთვის ისეთ საკითხებში, როგორიცაა: საარჩევნო კანონმდებლობა, საარჩევნო პროცედურები, თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობის, საკრებულოს წევრის ფუნქციების, თემის ინტერესების დაცვის საშუალებების შესახებ.

ინფორმირებული, თავის უფლებებსა და მოვალეობებში კარგად გარკვეული მოსახლეობა უდავოდ გრძნობს თავის პასუხისმგებლობას არჩევნების შედეგებზე, ანუ ვის აძლევს თავის ხმას და რას მოელის მისგან საკრებულოში არჩევის შემთხვევაში.

ანალოგიურად, თავისი წილი პასუხისმგებლობისა უნდა იკისრონ საკრებულოს წევრობის კანდიდატებმაც, რომლებიც აპირებენ გახდნენ საკრებულოს წევრები. სწორედ ამ მიზნით შემუშავდა „კარგი მმართველობის დეკლარაცია“. დეკლარაციაში ჩამოყალიბებულია ის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც უნდა ეყრდნობოდეს საკრებულოს საქმიანობა“ – აცხადებს „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარე და პროექტის დირექტორი – ლევან გობაძე.

ხუთივე მუნიციპალიტეტში მაჟორიტარობის ზოგიერთმა კანდიდატმა შეხვედრაზე დასწრება არ ისურვა, თუმცა მიზეზებზე არც ერთ მათგანს არ უსაუბრია.

დეკლარაციაში მოყვანილ პრინციპებს: საკრებულოს წევრად არჩევის შემთხვევაში უზრუნველყონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობა, ჩამოაყალიბონ მოსახლეობის მომსახურების ეფექტური სისტემები, ხელი შეუწყონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის ზრდას, ბიუჯეტების ფორმირების, დამტკიცების და განკარგვის პროცესები გახადონ მაქსიმალურად გამჭვირვალე და დაეფუძნოს მოსახლეობის რეალურ მოთხოვნებს, ხელი შუწყონ მუნიციპალიტეტების ეკონომიკურ განვითარებას და სხვა, მხარი ყველა პარტიის მაჟორიტარმა კანდიდატმა დაუჭირა და დეკლარაციას ხელი საჯაროდ მოაწერა.

„ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რუსლან ბარამიძე: „დღევანდელი შეხვედრა წინასაარჩევნო კამპანიის კარგი დაგვირგვინება იყო. მადლობა „ინტელექტს“, რომ აქტიურად მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემებზე, მუშაობს იმისათვის, რომ პიროვნებებს, რომლებსაც აქვთ პრეტენზია თვითმმართველობის ორგანოებში არჩეულები იყვნენ, ნათლად და კარგად ჰქონდეთ გააზრებული, თუ რა და როგორ უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მათი საქმიანობა წარმატებული იყოს. წარმოდგენილი დეკლარაცია, რომელსაც ხელი მოვაწერეთ შეხვედრაზე მყოფმა სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებმა, წარმოადგენს ერთგვარ ეთიკურ და მორალურ ნორმებს, რომელსაც მე, პირადად, დავიცავ-მეთქი, ტყუილი იქნება, რადგან ყოველთვის ვცდილობ, ამ პრინციპებს არ გადავუხვიო.“

*მაჟორიტარობის კანდიდატები ხელს აწერენ კარგი მმართველობის დეკლარაციას*

„დეკლარაციის პრინციპებს მხარს ვუჭერთ. დარწმუნებული ვარ, რომ კანდიდატები, რომლებმაც ხელი მოაწერეს დეკლარაციას და რომლებიც „ალიანსი საქართველოსთვის“ მაჟორიტარები არიან, საკრებულოში მოსვლის შემთხვევაში გაითვალისწინებენ ამ პრინციპებს“ – განაცხადა „ალიანსი საქართველოსთვის“ მაჟორიტარობის კანდიდატმა ქობულეთის მუნიციპალიტეტში – ივერი გუგუნავამ.

„პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ ინტელექტი კარგ საქმეს აკეთებს, მის მხარდაჭერას და თვითმმართველობის საკითხებით დაინტერესებას, მე როგორც საკრებულოს წევრი, ყოველთვის ვგრძნობდი. „ინტელექტი“ ზრუნავს თვითმმართველობის გაძლიერებისათვის. დეკლარაცია არის ერთგვარი ვალდებულების აღება, რისი გაკეთებაც მომავალში, საკრებულოს წევრად არჩევის შემთხვევაში მოუწევს ნებისმიერ კანდიდატს. დეკლარაციაში მოყვანილი საკითხების გაფორმება და ხელის მოწერა, თვალსაჩინოებისათვის მისასალმებელია. სამომავლოდ, პირადად მე, პირობას ვდებ, რომ თუ ისევ არჩეული ვიქნები საკრებულოს წევრად, ვიზრუნებ დეკლარაციაში მოცემული პუნქტების შესრულებაზე“ – განაცხადა „ალიანსი საქართველოსთვის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში – ავთანდილ ბერიძემ.

„ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატის – ცისანა ბარამიძის აზრით: „ეს შესანიშნავი დეკლარაცია, ნებისმიერი საკრებულოს წევრის „მორალური კოდექსი“ უნდა გახდეს. საკრებულოს ნებისმიერმა წევრმა, თუ მას სურს წარმატებულად იმუშაოს, სწორედ აღნიშნული დეკლარაციით უნდა იხელმძღვანელოს. ვფიქრობ, დეკლარაცია სამომავლოდ საზოგადოებასაც დაეხმარება, შეაფასოს საკრებულოს მუშაობა“.

„ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი ხულოს მუნიციპალიტეტში ასლან ტუნაძე კარგი მმართველობის დეკლარაციის შედგენას დადებითად აფასებს: „აბსოლუტურად ვეთანხმები იმ პრინციპებს, რაც აქ არის მოცემული. თუ ჩემს თემში მოსახლეობა მხარს დამიჭერს და ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გავხდები, შევეცდები, ყველა მათგანი გამოვიყენო პრაქტიკაში.“

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ხელმძღვანელი ხულოს მუნიციპალიტეტში – კახა მელაძე მიიჩნევს, რომ მაჟორიტარი კანდიდატისთვის ერთი ამომრჩევლის ხმა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კარგი მმართველობის დეკლარაციაზე ხელის მოწერა. თუმცა შეხვედრაზე მათი პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატები პირველები მოვიდნენ და არც კარგი მმართველობის დეკლარაცია დაუწუნებიათ, რაც ხელის მოწერითაც დაადასტურეს.

# „ღმერთო, ისე ნუ წაახდენ ადამიანს, რომ თავისი მსგავსი არსება სძულდეს...“

*დავით სამნიძე*

დავით სამნიძე გეოგრაფიის და იურისტის პროფესიას ერთმანეთს უთავსებს, მაგრამ საქმე, რომელიც არასდროს მობეზრდება, სამეცნიერო საქმიანობა, ლექსების წერა და კითხვაა. ყოფილა შემთხვევა, როდესაც საყვარელი საქმის საკეთებლად 14 საათი შეუსვენებლივ მჯდარა კომპიუტერთან...

ბოლო დროს საყვარელი საქმის კეთება დროებით გადადო და „ინტელექტის“ მიერ წამოწყებულ საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიაში ჩაერთო. საკუთარ თემში – პირველ მაისში თანასოფლელებს საარჩევნო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე ესაუბრა. „განსაკუთრებით საინტერესო იყო ხალხთან ურთიერთობა. მართალია, მე ვიყავი მოსახლეობაში საგანმანათლებლო შეხვედრის ჩასატარებლად მისული, მაგრამ ბევრი რამ ხალხისაგნაც ვისწავლე. იმდენი სითბო და ყურადღება მივიღე, რომ ალბათ, დიდხანს გამყვება. აქტიური ადამიანი არ ვარ. მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა, მაგრამ არა ჩემი ინიციატივით, თუ ვინმე ისურვებს ჩემთან ურთიერთობას, ყოველთვის თანახმა ვარ“.

დავით სამნიძე სოფელ პირველ მაისში დაიბადა. სკოლაც აქვე დაამთავრა, რომლის წარჩინებულად დასრულების შემდეგ გადაწყვიტა სწავლა უნივერსიტეტში გაეგრძელებინა, პირველი ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა, მეორე ცდაზე კი ჩააბარა. გეოგრაფიის ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ ისევ გადაწყვიტა, რომ აქ არ უნდა გაჩერებულიყო და სწავლა სამართალმცოდნეობის განხრით გააგრძელა, პარალელურად სწავლობდა მაგისტრატურაში, დღეისათვის უმუშევარია და ბევრი დრო აქვს იმისთვის, რომ საყვარელი საქმე აკეთოს...

პროფესორ მურმან გორგოშაძესთან ერთად არის წიგნის – „იურიდიული გეორაფია“ თანაავტორი, რომელიც 2008 წელს გამოვიდა და საქართველოს მასშტაბით გაიყიდა. აღნიშნულმა წიგნმა დიდი მოწონება დაიმსახურა სპეციალისტების მხრიდან. ამჟამად, ისევ მურმან გორგოშაძესთან ერთად, მუშაობს წიგნზე: „საქართველოს კონსტიტუციაში არსებულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“, თუმცა წიგნის სათაურს შეცვლიან თუ არა, საბოლოოდ არ აქვთ გადწყვეტილი.

ლექსების წერა 5 წლისამ დაიწყო. პირველი ლექსი, რომელიც 9 აპრილის მოვლენებს მიუძღვნა, მშობლებმა ვერ შეუნახეს. ახლა სათუთად ინახავს თავის „გულის ძახილს“, თუმცა ჯერ არ უცდია ფართო საზოგადოებისთვის გაეცნო. იქნებ ჩვენ აღმოვჩნდეთ პირველები, ვინც მის შესახებ დაწერს...

ძირითადად სიყვარულზე წერს, თუმცა მიძღვნითი ხასიათის ლექსებიც აქვს: განსაკუთრებით უყვარს ის ლექსი, რომელიც საკუთარ მოძღვარს მიუძღვნა. მიიჩნევს, რომ „მუზა შთაგონების სახით მოდის. ლექსი რომ დაწერო, ამისათვის მხოლოდ მუზა არ არის საკმარისი, ლექსის შეგრძნება უნდა შეგეძლოს, შეეცადო, სიახლე შეიტანო შენი ლექსით, რაღაც ახალი თქვა, რაც მუშაობის დროს მოდის“.

აპირებს სონეტების წერას, თუმცა ჯერ არ გადაუწყვეტია ,რა თემაზე იმუშავებს, ალბათ ამასაც შთაგონება უკარნახებს...

უყვარს... შეიგრძნობს... ტკივა... განიცდის... ბედნიერია... ჩაფიქრებულია... ყოველივე ეს იმაზე უფრო ემოციურია, ვიდრე ჩანს...მაგრამ უფრო მძაფრად ლექსებში შეიგრძნობა... მის ლექსებს სიყვარულის გარეშე „სითბო შიათ“, ღამე „მზეს“ დაეძებს და მზეში კიდევ ...

აქვს ოცნება: სოფლის შუაგულში, სადაც პატარა გორაკია, სურს ეკლესია ააგოს და კიდევ „ღმერთო, ისე ნუ წაახდენ ადამიანს, რომ თავისი მსგავსი არსება სძულდეს...“



*თეონა დიასამიძე საგანმანათლებლო შეხვედრის დროს*

# „თუ ერთმა მაინც შეიგნო რისთვის მოვიარე მთელი კირნათი, ვიტყვი, რომ ჩემი მისია შევასრულე“

**ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა – „ინტელექტი“ ბევრი ადამიანის ცხოვრება შეცვალა, ბევრ მათგანს მისცა შესაძლებლობა თავი ახალ, განსხვავებულ ამპლუაში დაენახა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტი თეონა დიასამიძე ერთ-ერთი მათგანია. იგი მშობლიურ თემში განმანათლებლად მუშაობს.**

დღეს გამორჩეული დღე გათენდა ჩემთვის: კირნათის თემის მოსახლეობას უნდა შევხვდე და ვესაუბრო ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. საკუთარ თავზე დიდი პასუხისმგებლობა ავიღე, ახლა თითქოს მეშინია... ვაითუ არ მომისმინა ხალხმა? მაგრამ უკან არ დავიხევ! ის მისია, რაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა დამაკისრა, პირნათლად უნდა შევასრულო!

შინაგანმა დაძაბულობამ გონებაში ათასი რაღაც ამომიტივტივა... გამახსენდა ამ პროექტში როგორ მოვხვდი: კონკურსის შესახებ თემში გამოკრული განცხადებიდან გავიგე. გადავწყვიტე მონაწილეობა მიმეღო და შესარჩევი ეტაპები წარმატებით გადავლახე. ეს ჩემი პირველი კონკურსი იყო. მიხარია, რომ არ ჩავიჭერი. დავრწმუნდი, რომ საზოგადოებაში გავრცელებული აზრი – ყველა კონკურსი ფიქტიურია, მცდარია. და თუ შევძელი კონკურსში გასვლა, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმის კეთებაც შემიძლია. ამის გააზრებამ დამამშვიდა.

საგანმანათლებლო მასალებს კიდევ ერთხელ გადავხედე. არაფერი უნდა გამომრჩეს. ამომრჩეველს მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია უნდა მივაწოდო, რათა სწორი არჩევანი გააკეთოს.

,,განმანათლებლობა“ საკუთარი ოჯახიდან დავიწყე. ვფიქრობ ასე უფრო გამიადვილდება მუშაობა. მართალია, ,,ინტელექტის“ შესახებ უკვე იცოდნენ, მაგრამ მაინც ამ ორგანიზაციის გაცნობით დავიწყე საუბარი. მერე ადგილობრივ თვითმმართველობაზე ვესაუბრე, საკრებულოს ფუნქციებზე, მის ანგარიშვალდებულებაზე, კონკურსზე... იმიტირებულმა განმანათლებლობამ წარმატებით ჩაიარა. ახლა შემიძლია თამამად გავაგრძელო დაკისრებული მოვალეობა — განმანათლებლობა. გონების სავარჯიშოდ ყავა დავლიე და გავედი.

კარდაკარ შემოვლის პრინციპით მშობლიური კირნათის თემი უნდა მოვიარო. სულ შვიდი სოფელი – მარადიდი (სადაც ვცხოვრობ), ძაბლავეთი, კირნათი, ზედა კირნათი, კობალეთი, გვარა და შუშანეთი. რამდენიმე სოფელში ჯერ არც კი ვყოფილვარ.

ჩემი ოჯახიდან მირანდა კალანდაძესთან გადავინაცვლე. კარგად შემხვდა, გულისყურით მომისმინა. „ინტელექტის“ საქმიანობითაც დაინტერესდა და განმანათლებლების იდეაც მოეწონა. ასე მთელი მარადიდი მოვიარე, კირნათი, ზედა კირნათი, გვარა, შუშანეთი, ძაბლავეთი, კობალეთი. . .

წვიმს კოკისპირულად... თითქოს უნდა მუშაობაში ხელი შემიშალოს, მაგრამ არ ვჩერდები. საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო...

როცა არასამთავრობო ორგანიზაციას ვახსენებ, ბევრი ოპოზიციად აღმიქვამს, მისმენს, მაგრამ არც ხელს მიწერს და არც კონკურსში მონაწილეობაზე მთანხმდება. პირველად ეს სოფელ ძაბლავეთში ბედინაძეების ოჯახში მოხდა. მითხრეს ჩვენთვის არაა საინტერესოო... ამ ფაქტმა ისე შემაწუხა... მეგონა, ზეცა ჩამოიქცა... ისიც კი ვიფიქრე, დროს ტყუილად ხომ არ ვკარგავ-მეთქი, მაგრამ გზა გავაგრძელე და სწორადაც მოვიქეცი.

პროექტმა – ,,ჩემი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“, ბევრი რამ მასწავლა: გავეცანი საკრებულოს წევრის ფუნქციებს. უფრო ღრმად ჩავიხედე თვითმმართველობის სტუქტურაში, საქმიანობაში. დავინახე, რამდენად ანგარიშვალდებული უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობა მოსახლეობის წინაშე. მივხვდი, ვინ უნდა ავირჩიო. წინა მოწვევის კირნათის მაჟორიტარი დეპუტატი მთელი ოთხი წლის განმავლობაში სახლში იჯდა და თავისი ხალხისთვის არაფერი გაუკეთებია.

ამ პროექტის მთავარი ღირსება ალბათ ის არის, რომ ჩემი თემის მოსახლეობის უმრავლესობა გავიცანი. ახლა უკეთ ვიცი, ვინ სად ცხოვრობს და როგორ, ვის ტკივა, ვინ წუხს, ვის შია... ვიცოდი, რომ ბევრ კირნათელს უჭირდა, მაგრამ ამდენი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახი თუ იყო, არ მეგონა. ახლა მეც მტკივა მათი ტკივილი... მათი გასაჭირი საკუთარ „სხეულზე შემოვიხვიე“, რათა უკეთ მეგრძნო... და დავრწმუნდი, რომ ცხოვრება უსასტიკესია... ვიცი, მათი პრობლემების გაცნობა ჩემს ფუნქციებში არ შედიოდა, მაგრამ მოსმენაზე უარი როგორ მეთქვა? მათი პრობლემების გასაგებად სხვა არავინ დადის სოფელში და ვიღაცას ხომ უნდა გადაუშალონ გული, იმედიც რომ არ ჩაუქრეთ... ამიტომ მოვუსმინე.

დაღამდა. სოფელი უკვე მოვიარე. ბევრმა გაიგო, ბევრმა არა... თუ ერთმა მაინც შეიგნო რისთვის მოვიარე მთელი კირნათი, ვიტყვი, რომ ჩემი მისია შევასრულე.

წვიმას სულ დავუსველებივარ... ამას სახლში მისულმა მივხვდი. მაგრამ არა უშავს, მე ხომ საგანმანათლებლო საქმეს ვეწეოდი.

ხვალიდან ჩემს ყოველდღიურ ყოფას დავუბრუნდები, უნივერსიტეტი, ლექციები... იმედს ვიტოვებ, რომ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი ,,ინტელექტი“ მსგავს პროექტებს კიდევ შეიმუშავებს და ისევ მექნება საშუალება, მშობლიურ თემში ვიმუშაო.

**P.S.** ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა უკვე ჩაიარა. თეონა დიასამიძეს იმედი აქვს, რომ მისი მუშაობა არჩევნების შედეგებზე დადებითად აისახება და ხელვაჩაურის საკრებულოში კირნათის თემიდან ხალხის რჩეული მაჟორიტარი მოვა.

***თეონა კაკაციძე***

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge